ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ~~ეი 21~~/03/03/15

ქ. თბილისი 04/03/2015 წელი

შემსყიდველი: შპს „საქაერონავიგაცია“ (ს/კ 208144051), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198, ტელ. 274-42-12

საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა“, ბანკის კოდი REPLGE22.

ა/ა GE69BR0000000005467067.

მიმწოდებელი: შპს „აი-სი-ი“ (ს/კ 400017245), წარმოდგენილი დირექტორის, პაატა დვალიშვილის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, მე-3 მ/რ, კორპ. №10, ბ. №120. ტელ: +995 32 990170/72.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი”, ბანკის კოდი BAGAGE22;

ა/ა GE78BG0000000893486000.

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და, მეორე მხრივ, - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს „ქ. ქუთაისის აეროპორტში, შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე საოფისე შენობაში არსებული გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის სისტემის ტესტირება-დიაგნოსტიკა (შემდგომში, მომსახურება). მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გაუწიოს ტექნიკური კონსულტაცია, გააკეთოს სისტემის არსებული მდგომარეობის ანალიზი და მიაწოდოს შემსყიდველს წერილობითი დასკვნა ზემოაღნიშნული სისტემის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზების თაობაზე.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი (CPV): 72110000.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

1.4. რესურსის მოთხოვნის განაცხადი: №92-15.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომლის მიზანია მომსახურების გაწევის ვად(ებ)ის, მოცულობისა და ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით განახორციელებს ოლეგ გოგნაძე, ტექნიკური მომსახურების ჯგუფის უფროსი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს (“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “გ” და “ე” ქვეპუნქტები).

მუხლი 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევის შემდეგ მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტს.

3.2. შემსყიდველის სახელით მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭებათ ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებულ პირებს.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1200.00** ლარი.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. გასწიოს მომსახურება ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

5.1.2. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. არ გააფორმოს მიღების-ჩაბარების აქტი, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი

ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4. მესამე პირების სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ რისკებს გასწევს მიმწოდებელი.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის საფუძველზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მაისამდე.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით:	**მიმწოდებლის სახელით:**
---	---
გოჩა მეზვრიშვილი გენერალური დირექტორი	პაატა დვალიშვილი დირექტორი